MES 3 20 00422950

01/06/2020

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნატალია შანიძე -** შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე;
5. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
6. **ირმა ბარბაქაძე -** შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
7. **ავთანდილ აბდუშელიშვილი -** შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
8. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
9. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;
10. **გრიგოლ მურღულია** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე;
11. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე;

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ- გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვიცე-პოლკოვნიკი - ივანე კუხიანიძე
დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - მაია გაბუნია
იურისტი - დავით ლომსიანიძე

შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივი „
სკოლის დირექტორი - ეკა ჩიქობავა
სკოლის დირექტორის მოადგილე - ეკა ლომთათიძე
დირექტორის მოადგილე - მეჰმეთ საალიჰ ქოჩ
იურისტი - სალომე ოსეფაშვილი
შპს „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“
სკოლის დირექტორი - მარეხი ყანჩაველი
დირექტორის მოადგილე - აჰმედ თუღრული
სკოლის ბუღალტერი - ნონა რეხვხვიაშვილი
იურისტი - სალომე ოსეფაშვილი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

სსიპ- გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
მაია ინასარიძე
მაგდა ბარამიძე

შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივი „

ხათუნა ბარაბაძე
ლია კობესაშვილი

შპს „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“
ეკატერინე კვირიკაშვილი
ნოდარ ანგურიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით

მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში.
სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom - ის საშუალებით) 2020 წლის 15 მაისს, 16:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა-ლიცეუმ სხივში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ამის შემდეგ მან მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი ამიტომ დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაია ინასარიძემ და მაგდა ბარამიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ მაია ინასარიძის განცხადებით საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სკოლას ხარვეზები არ გააჩნდა.

ექსპერტმა განმარტა, რომ ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, ხოლო მატერიალური რესურსი შემოწმდა გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელსაც დაწესებულება აგზავნიდა პერიოდულად ჩართვის დროს.

ექსპერტის განცხადებით ლიცეუმს ჰქონდა 2019-2010 წლის სასწავლო გეგმა, რომელიც შეთანხმებული იყო სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ 10.09.2019 წელს. სასწავლო გეგმა ორიენტირებული იყო მისიის მიღწევაზე, რასაც ადასტურდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, პროფილის შესატყვისი სამხედრო მომზადების პროგრამა.

ექსპერტის თქმით, ლიცეუმის სასწავლო გეგმა პასუხობდა შესაბამისი საფეხურის კადეტთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევდა მათ, მიეღოთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

ექსპერტის განცხადებით ლიცეუმს მიეცა რეკომენდაცია, რომ სახელობითი რეესტრები არ ყოფილიყო წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმაში მომავალ წელს.

ექსპერტ მაია ინასარიძის განცხადებით ლიცეუმი კადეტებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ შემდეგ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს: ,,TOEFEL“-ის პროგრამა; ,,SAT“-ის პროგრამა; მესამე უცხო ენა თურქული; დაწყებითი სამხედრო მომზადების კურსს, რობოტექნიკა და ელექტრონიკა (მეათე კლასში, როგორც სავალდებულო, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასებში - არასავალდებულო).

ასევე ლიცეუმი კადეტებს სთავაზობდა შემდეგ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პრაქტიკული კურსი; ფოლკლორული ანსამბლი.

ყველა ამ მომსახურების პროგრამები დანართის სახით წარმოდგენილი იყო ლიცეუმის სასწავლო გეგმაში.

ექსპერტმა აღინიშნა, რომ ლიცეუმი დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას. სწორედ ამ მიზნით ლიცეუმი კლასებს ყოფდა შემდეგ საგნებში: მათემატიკა, ინგლისური ენა და რუსული ენა (ყველა კლასში); საბუნებისმეტყველო საგნები (ქიმია, ფიზიკა,

ბიოლოგია, გეოგრაფია) - მე-11 კლასში; ქართული ენა და ლიტერატურა და ისტორია იყოფოდა მხოლოდ მე-12 კლასში. გამომდინარე იქიდან, რომ ლიცეუმი ფინანსდებოდა თავდაცვის სამინისტროდან, ლიცეუმს გააჩნდა რესური. ექპერტმა აღნიშნა რომ ესგ-ს მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კლასის გაყოფა დასაშვები იყო შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე) და უცხოური ენებში, თუ სკოლას ჰქონდა შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობა.

ექსპერტის განცხადებით მათემატიკას ლიცეუმში ეთმობოდა 10 საათი, ხოლო ინგლისურს - 5, თუმცა ამ და სხვა საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსი სკოლას არ ჰქონდა მიღებული განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსგან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შემდეგ ამ შენიშვნისთანავე ლიცეუმმა გააგზავნა წერილი სამინისტროში შესაბამისი ახსნაგანმარტებითა და თხოვნით.

ლიცეუმის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, ესგ-ს მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, შეათანხმებინა კლასების გაყოფისა და დამატებითი საათების საკითხი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

საბჭოს წევრმა ქალბატონმა მაკა მამფორიამ დასვა კითხვა გენდერული კუთხით როგორი სიტუაცია იყო ლიცეუმში. ექსპერტმა განმარტა , რომ ვაჟები რიცხობრივად ბევრნი იყვნენ, მაგრამ გოგონებიც სწავლობდნენ ლიცეუმში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2. საბჭოს წევრმა ბატონმა კახაბერ ფარცვანიამ დასვა კითხვა კლასებში ვიდეოკამერებთან დაკავშირებით.

ექსპერტის განმარტებით საკლასოოთახებში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერები, რაცეწინაა ღმდეგებოდამოქმედკანონმდებლობასპირადიინფორმაციისხელშეუხებლობისშესახებ, ამიტომ ლიცეუმსმიეცარეკომენდაციაამკამერებისსაკლასოოთახიდანგატანისშესახებ. თუმცა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ მათ წარმოადგინეს კამერების საკლასო ოთახებში არსებობის მიზანშეწონილობის დასაბუთება ლიცეუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. ექსოერტის განცხადებით ლიცეუმის ხელმძღვანელობამ 2018 წელს თავდაცვის სამინისტროს მიმართა თხოვნით, რომ მას უზრუნველეყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინფორმირება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ლიცეუმის ხელმძღვანელობა დაეყრდნო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის“ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტს.

ლიცეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ვიცე-პოლკოვნიკმა ივანე კუხიანიძემ განმარტა, რომ კადეტი მოსწავლეები 24 საათის განმავლობაში იყვნენ ლიცეუმში, სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები კლასებში განაგრძობდნენ მეცადინეობას. ასევე ლიცეუმში იყო სასწავლო იარაღი, რომელიც გამოიყენებოდა სწავლებისთვის და ამ ყველაფერს ჭირდებოდა კონტროლი.

საბჭოს წევრმა ბატონმა გიორგი გიგიბერიამ აღნიშნა, რომ არ არსებობდა არგუმენტი, რომელიც გაამართლებდა საკლასო ოთახებში ვიდეოკამერების საჭიროებას.

ლიცეუმის დირექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში ქალბატონმა მაია გაბუნიამ აღნიშნა, რომ

სასწავლო პროცესში, როცა მასწავლებელი იმყოფებოდა საკლასო ოთახში ვიდეოკამერები იყო გამორთული, რთავდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც კადეტი მოსწავლეები იმყოფებოდნენ მეთვალყურის გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 330 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმს (ს/კ: 212922612) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 330 - ით.

2. შპს ქართულ - გერმანულ სკოლა „სხივში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და ლია კობესაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.
2.1 ექსპერტთა ჯგუფის წევრის განცხადებით სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. სკოლას გაწერილი ჰქონდა საშემოდგომო და სემესტრული გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურა. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები

საგნების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებული იყო სკოლის ვებგვერდზე, რითაც უზრუნველყოფილი იყო შეფასების ზოგადი რუბრიკების ცნობადობა სასკოლო საზოგადოებისათვის.
ექპერტის განმარტებით ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იქნა განხილული შემაჯამებელი დავალებები ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ისტ-ში, მუსიკაში, გეოგრაფიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მათემატიკაში. მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები ბიოლოგიაში ძირითადად ღია და დახურული ტიპის ტესტურ დავალებებს მოიცავდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო რეფერატი, ფიზიკაში შემაჯამებელი დავალებებში მოსწავლეები მუშაობდნენ დახურულ ტესტებზე და ამოცანებზე, ისტის შემთხვევაში მოსწავლეები ფასდებოდნენ პრეზენტაციების მომზადების უნარებში, გეოგრაფიაში იყო ასევე ერთ შემთხვევაში რეფერატი, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მოსწავლეებს ჰქონდათ კომპლექსური დავალება მიცემული, ხოლო ქართულ ენასა და ლიტერატურაში როლური თამაში .
ექსპერტის განცხადებით როლური თამაშის მტკიცებულებად მასწავლებელმა წარმოადგინა მოსწავლეთა შეფასების ჩეკლისტი და ფოტო მასალა. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებში განსაზღვრული იყო სტანდარტის ის შედეგი, რომლის შეფასებასაც ითვალისწინებდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლეთა შედეგები და გამოვლენილ პრობლემების სავარაუდო მიზეზები, ასევე პრობლემებზე რეაგირების ზოგადი მექანიზმები.
ექსპერტ ლია კობესაშვილის განცხადებით დავალებების ანალიზის ფორმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით, ასევე გასულ სასწავლო წელს სკოლაში ჩატარებული დიაგნოსტიკური წერების შედეგების ანგარიშების მიხედვით მოსწავლეთა აკადემიური შედეგები გაანალიზებული იყო და ანალიზის შედეგები გამოიყენებოდა მათი სასწავლო შედეგების პროგრესისათვის.
ექსპერტის განცხადებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაზუსტებულიყო რა ფორმით ხდებოდა სემესტრული და საშემოდგომო გამოცდების ჩატარება და რა ტიპის დავალებები მიეცემოდათ მოსწავლეებს. ასევე რა მოხდება თუ მოსწავლე ვერ შეძლებდა გამოცდაზე გამოცხადებას ობიექტური მიზეზების გამო.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.
2.2. ექსპერტის განცხადებით, სკოლის ეზოში მოწყობილი ორი სპორტული მოედანი საფრთხის შემცველ გარემოებას წარმოადგენდა მოსწავლეთა ჯანმრთელობისთვის, რადგან არ იყო მოასფალტებული, ავტომობილის სავალი ნაწილისგან არ იყო გამიჯნული. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სპორტული მოედანი გამხდარიყო უსაფრთხო მწვანე საფარიანი და გაიმიჯნულიყო ავტომობილების სავალი ნაწილისგან.
სკოლის დირექტორის განცხადებით, დაწესებულებამ შემოღობა სპორტული მოედნის ტერიტორია და გამიჯნა გზის სავალი ნაწილისგან, რომელიც დაადასტურა შესყიდვების ფაქტურით და ასევე თბილისის მერიასთან შეათანხმა პროექტი, მწვანე საფარიანი მოედნის მოწყობის თაობაზე, რომლის განხორციელებასაც სკოლა გეგმავდა ამა წლის ზაფხულში.
ექსპერტის განცხადებით წიგნადი ფონდი ნაწილობრივ იყო დამუშავებული, ოთახი მეორადი განათებით, კომპიუტერების რაოდენობა არ იყო საკმარისი, ბიბლიოთეკის ოთახი პატარა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ყველა წიგნი დამუშავებულიყო სრულად საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, სამკითხველო სივრცის ფართი შეცვლილი ყოფილიყო ნათელი ოთახით და მოსწავლეებს შესძლებოდათ რაოდენობრივად საკმარისი ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით სარგებლობა.
სკოლის დირექტორის განცხადებით წიგნები დამუშავდა საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და დაწესებულება შეცვლიდა ბიბლიოთეკის ოთახს.
ექსპერტის განცხადებით სკოლაში არ იყო ადაპტირებული საპირფარეშო და არ შეესაბამებოდა სტანდარტებს.

სკოლის დირექტორის განმარტებით, რომელიც შეეხებოდა ადაპტირებულ საპირფარეშოს, მან დაადასტურა რომ საპირფარეშო ნამდვილად არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ სტანდარტს. დაწესებულებამ გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი და ადაპტირებული საპირფარეშო გადაიტანა ინდივიდუალურ საპირფარეშოში და მოიყვანა სტანდარტებთან შესაბამისობაში, რომელიც დაადასტურა ფოტომასალით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონ ხათუნა ბარაბაძის განცხადებით სკოლას ჰყავდა ექიმი და ჰქონდა სათანადოდ აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. კაბინეტში გამოკრული იყო სკოლის ექიმის ფუნქციები და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მექანიზმები, რომელიც დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის“ დირექტორის ბრძანება #900 23/02/2017 წ დამტკიცებულ ექიმის დებულებაში, ასევე სამედიცინო ოთახის მოხმარების წესი. ექსპერტის განცხადებით გასაუბრებისა და დათვარიელების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის ექიმი არ აწარმოებდა გაცემული მედიკამენტებისა და მოსწავლეთა/მასწავლებელთა მიერ ავადობების/ ჩივილების მიმართვიანობის აღრიცხვას. არ ჰქონდა თავმოყრილი კლასების მიხედვით მოსწავლეთა სპეციფიური საჭიროებების, აცრების ამსახველი დოკუმენტაცია (ისტორიები).

ექსპერტის თქმით, ექიმმა ასევე ვერ წარმოადგინა სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგისა და კონტროლის ამსახველი მასალა.

დაწესებულების დირექტორმა ქალბატონ ეკა ჩიქობავას განცხადებით სკოლის ექიმს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება. მისივე განმარტებით, რადგანაც მოსწავლეები პირველი კლასიდან სწავლობდნენ შპს ქართულ-გერმანულ სკოლა სხივში, მათ ექიმი კარგად იცნობდა და მშობლებთან შეთანხმების გარეშე არ მიმართავდა მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

ექსპერტის განცხადებით სკოლის დისციპლინური კომიტეტის არჩევისა და რეგულირების დოკუმენტი არ შეესაბამებოდა რეალობას, რომელიც მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ დირექტორი არ შედიოდა დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, დისციპლინურ კომიტეტს ფორმალური ხასიათი ჰქონდა, თუმცა სკოლაში იყო ფაქტები, რომელიც საჭიროებდა სათანადო რეაგირებას. მასწავლებლები ჯეროვნად არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და მოსწავლეთა უსაფრხო გარემოს უზრუნველყოფას. არ ხდებოდა საკლასო ჟურნალებში მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა და ნიშნების დაჯამება. ადმინისტრაციის მხრიდან ჟურნალების მონიტორინგის პროცესი ვერ/ არ ხორციელდებოდა სათანადოდ, თუმცა სკოლას ჰყავდა სპეციელურად ამ მიმართულებით ბრძანებით დანიშნული პასუხისმგებელი პირი.

საბჭოს წევრმა ქალბატონმა ქეთევან ნატროშვილმა განმარტა, რომ ჟურნალი წარმოადგენდა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, სადაც მოსწავლეები ფასდებოდნენ, კლასიდან კლასში გადასვლა, ატესტატის გაცემა ეს ყველაფერი დამოკიდებული იყო ჟურნალზე, მან ასევე აღნიშნა, ისიც, რომ განათლების სივრცეში, კანონში, პირდაპირ იყო მითითებული ექსტერნატის ფორმით გამოცდა. მისივე განცხადებით ზემო აღნიშნული წარმოადგენდა სერიოზულ დარღვევას.

დაწესებულების იურისტმა ქალბატონმა სალომე ოსეფაშვილმა განმარტა ჟურნალებთან დაკავშირებულ შეცდომებზე, რომელიც მისივე თქმით ვეღარ გამოსწორდებოდა, მაგრამ გაითვალისწინებდნენ სამომავლოდ. მან ასევე აღნიშნა, რომ დასკვნაში ასახული ხარვეზები, რეკომენდაციები და შენიშვნები სრულად გამოსწორებულ იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივის“ ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 2
წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივის“ (ს/კ: 205257407) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა და ნოდარ ანგურიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.
3.1. ექსპერტის განცხადებით სასკოლო სასწავლო გეგმა, როგორც დოკუმენტი არ იყო ერთიანი, დანომრილი ნაწილებითა და დანართებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში საათობრივი ბადე არ განსაზღვრავდა მოსწავლეთა აუცილებელ კვირეული და წლიური ჯამური საათების ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით. ექპერტის განმარტებით საკითხები, რომელიც საჭიროებდა სამინისტროსთან დასაბუთებას/შეთანხმებას ისე იყო სსგ-ით დამტკიცებული, რომ სკოლას არ ჰქონდა სამინისტროსგან უკუკავშირი მიღებული, არ იყო შეთანხმებული. ასევე, ექსპერტის თქმით საკლასო ჟურნალსა და ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool)-ში შეტანილი იყო კლასების მიხედვით გაკეთებული საგნების ჩამონათვალი, რომელიც არ ემთხვეოდა სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულ ჩამონათვალს. ექსპერტის განცხადებით სასკოლო საათობრივ ბადეში სრულყოფილად არ იყო აღნიშნული როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით

გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ექსპერტ ეკა კვირიკაშვილის განმარტებით, არჩევითი და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (სავალდებულო) სახით შეთავაზებული საგნების შემაჯამებელი დავალებების მინიმალური/მაქსიმალური რაოდენობა სსგ-ით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით არ იყო დაზუსტებული და განსაზღვრული I-IV კლასებში შემაჯამებელი სამუშაოების მინიმალური ოდენობები, რომელიც ფაქტობრივად არ ტარდებოდა. ექსპერტის განცხადებით არ იყო დაცული სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებისადმი მოთხოვნა. მან განმარტა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი უნდა ყოფილიყო IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი: 8 გაკვეთილი - IX კლასში, 4 გაკვეთილი - XI კლასში. ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი. ექპერტმა აღნიშნა, რომ ამით დაირღვა ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანება. ექპერტის განცხადებით, საგანში, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება მოსწავლემ ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ჩააბარა არა წერითი ფორმით, ტესტირების გზით, არამედ ონლაინ. სკოლას არ შეუდგენია აღნიშნულ საგანში ტესტები, დაცული არ იყო კონფიდენციალურობა და ნაშრომის გასწორების წესი.

ამით დაირღვა ,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #18/ნ ბრძანება.

ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი გაკვეთილების განრიგი არ შეესაბამებოდა გაკვეთილების ცხრილსა და ფაქტობრივ მდგომარეობას. (მაგ: განრიგით 1 კლასის მოსწავლეებს ჰქონდათ 35 წუთიანი გაკვეთილები, მაშინ, როცა ცხრილითაც და ფაქტობრივადაც მოსწავლეებს უტარდებოდათ 45 წუთიანი გაკვეთილები). ექსპერტმა აღნიშნა რომ რჩებოდა განცდა, იმის, რომ დაწესებულებას ჰქონდა სხვა დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ არგუმენტად დაასახელა ზარის დარეკვასთან დაკავშირებული პრობლემა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაირღვა ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანება; ექსპერტ ეკატერინე კვირიკაშვილის განცხადებით, სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირების მექანიზმები და პირველადი მართვის სტრატეგიები. მისივე განმარტებით, დაირღვა ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის #16/ნ ბრძანება;

ექსპერტის განცხადებით, განათლების აღიარების დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისას, სკოლას არ ჰქონდა მიღებული ყველა გონივრული ზომა სკოლაში უკვე ჩარიცხული მოსწავლისთვის მიეცა მის საჭიროებაზე და შესაძლებლობაზე მორგებული შესაბამისი განათლების მიღების შესაძლებლობა, შეედგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და უზრუნველყო მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასება.ამით დაირღვა საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #98/ნ ბრძანება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში დანერგილი იყო ელექტრონული ჟურნალი, რომელიც ხელს უწყობდა მშობელთან კომუნიკაციას და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას (ესგ, მუხლი 19. დამრიგებელმა რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) უნდა მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ). ექსპერტის განცხადებით, ამავე მუხლის თანახმად, დაუშვებელი იყო ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი, მაშინ, როცა სკოლაში მშობლებთან, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მშობელს უფლება ჰქონდა წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში დასწრებოდა გაკვეთილებს. დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა შინაგანაწესშიც: „სკოლის დირექტორს - ხელმძღვანელს, უფლება აქვს, მასწავლებელთან შეთანხმებით მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ნება დართოს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობაზე.“ ექსპერტის განცხადებით, ამით დაირღვა არა მარტო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა, არამედ პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონი.

ექსპერტის განცხადებით სკოლას, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება, დადგენილი წესით არ ჰქონდა გაგზავნილი მოსწავლის მშობლის/კანონიერ წარმომადგენლისთვის. (დაირღვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2017 წლის 11 იანვრის #04/ნ ბრძანება).

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ ჯერ დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ მოცემულ საკითზე და შემდგომ დაესვათ კითხვები აღნიშნულთან დაკავშირებით.

დაწესებულების დირექტორის ქალბატონ მარეხი ყანჩაველის განცხადებით, რეკომენდაციები სასკოლო სასწავლო გეგმის ხარვეზებთან დაკავშირებით სკოლამ გაითვალისწინა, კერძოდ, დოკუმენტების დანომრვა - აკინძვასა და შესაბამისი ბეჭედით დამოწმების თაობაზე.

დაწესებულების დირექტორის ქალბატონ მარეხი ყანჩაველის განცხადებით, საათობრივ ბადესთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა მოდელი და გადაიგზავნა დასამტკიცებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, თუმცა პასუხი არ მიუღიათ.

ასევე სკოლის დირექტორმა განმარტა, დაწყებითი საფეხურის კლასებში შემაჯამებელი დავალებების შესახებ, მისი თქმით, არ იყო ვალდებულება იმისა, რომ 1-4 კლასის მოსწავლეებს შეესრულებინათ შემაჯამებელი დავალებები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.

საბჭოს წევრმა - ბატონმა კახაბერ ფარცვანიამ განმარტა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში იყო გაწერილი შემაჯამებელი დავალება, როგორც შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი, ამიტომ იყო საჭირო შემაჯამებელი დავალებების შესრულება 1-4 კლასებში, რასაც სკოლის დირექტორი არ დაეთანხმა.

დაწესებულების იურისტის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების სქემაში კერძოდ შემაჯამებელი დავალებების გრაფა იყო ეროვნული სასწავლო გეგმიდან კოპირებული, მისივე თქმით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემაჯამებელი და საკლასო დავალებების კომპონენტი არ იყო გამიჯნული ერთმანეთისგან და სავალდებულო იყო 1-4 კლასებში ჩატარებულიყო შემაჯამებელი დავალებები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პრობლემას ის კი არ წარმოადგენდა, რომ უნდა ყოფილიყო 1-4 კლასებში შემაჯამებელი დავალება, არამედ ის, რომ დაწესებულებას ჰქონდა ჩანაწერი სასკოლო სასწავლო გეგმაში, როგორც შეფასების ერთ-ერთ კომპონენტი. მისივე თქმით, გაჩნდებოდა კითხვები, რა ფორმით ტარდებოდა ზემოაღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2. ექსპერტ ეკატერინე კვირიკაშვილის განცხადებით შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი , (ID ნომერი:216441358) მდებარეობდა ქალაქ რუსთავში, ახმეტელის ქუჩა, N10ში. ერთ მისამართზე დაწესებულებას ჰქონდა არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 10890.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული #1 სასწავლო კორპუსი (4 სართული, საერთო ფართით 3034.23 კვ.მ) და #2 დამხმარე შენობა/ნაგებობა (საერთო ფართით 34.71 კვ.მ). საკადასტრო კოდი # 02.04.02.068; მესაკუთრე გახლდათ შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი. ექსპერტის განცხადებით, ქონება დაყადაღებული იყო (102017038712 08/02/2017 14:09:41).

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2019-2020 სასწავლო წელს, ზემოთ მითითებულ მისამართზე მდებარე სასწავლო კორპუსის მეორე სართულზე, ფუნქციონირება დაიწყო საბავშვო ბაღმა. ბაღმა დაიკავა მეორე სართულის უმეტესი ნაწილი თავისი ერთი სველი წერტილით (სკოლის მოსწავლე გოგონებისთვის განკუთვნილი ტუალეტი ადაპტირებული საპირფარეშოს ჩათვლით, რომლითაც ახლა ვეღარ სარგებლობენ). ექსპერტის განმარტებით, სკოლამ ვერ წარმოადგინა შიდა ბრძანება გამიჯვნის შესახებ. მისივე თქმით, იმ მომენტისთვის სკოლას დაზუსტებით რა ფართი ეთმობოდა გაურკვეველი იყო. ექსპერტ ეკატერინე კვირიკაშვილის განცხადებით, საბავშვო ბაღის აღსაზრდელები და მოსწავლეები სარგებლობენ საერთო შემოსასვლელი კარით და საერთო კიბეებით.

ექპერტის განცხადებით სკოლის ყველა სართულზე არ იყო მოწყობილი ტუალეტები გოგონებისა და ბიჭებისათვის. სკოლაში არსებულ ყველა ხელსაბანში უზრუნველყოფილი არ იყო ხელის გასამშრალებლისა (ელექტროსაშრობი ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერი) და ნარჩენების კალათის (უკონტაქტო) ხელმისაწვდომობა.

ექსპერტის განცხადებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (როგორც ვაჟი, ისე გოგონა) არ იყო შესაბამისად მოწყობილი სველი წერტილი, არ იყო დაცული სველ წერტილში შესასვლელი მინიმალური ზომები.

ექსპერტის განმარტებით, გამოკრული საევაკუაციო გეგმები არ იყო სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში და არ იყო მოშლილი კიბის ქვემოთ მოწყობილი სათავსო. ექსპერტის თქმით დაწესებულებაში არ ხდებოდა სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგი და კონტროლი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებული არ იყო ვიდეოთვალთვალის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ექსპერტის განცხადებით ვიდეოთვალთვალის განხორციელება ხდებოდა საკლასო ოთახში.

დაწესებულების დირექტორმა ისაუბრა სკოლაში არსებული ხარვეზების შესახებ და აღნიშნა, რომ ვიზიტის დასრულების შემდეგ დაიწყო არსებული ხარვეზების გამოსწორება. მისივე განმარტებით, სკოლის ადმინისტრაციამ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული რამდენიმე ხარვეზი გამოასწორა, რაც დაადასტურა ფოტომასალით საბჭოს სხდომაზე.

3.3. ექსპერტმა ბატონმა ნოდარ ანგურიძემ მოკლედ ისაუბრა სკოლის ადამიანური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი დარღვევები სკოლას არ ჰქონია, მხოლოდ რამდენიმე რჩევა მიეცა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს რომ კითხვები აღარ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და

ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 11 მუხლის მე - 2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე - 15 მუხლის მე - 3პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 20-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-7 პუნქტისა და 27-ე მუხლის მე-10 პუნქტისშესაბამისად შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის (ს/კ 216441358) გაუუქმდეს ავტორიზაცია.
იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ სასწავლო წელი მალე სრულდებოდა, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2020 წლის 30 ივნისიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 20:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია